ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 023

50300000

ქ. თბილისი 20 მაისი, 2011 წელი.

ერთის მხრივ ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თბილისის არქიტექტურის სამსახური (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი უფროსის არისი ბოჭოიძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „ორიენტ ლოჯიკი“ (შემდგომში –მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვაჟა ნასყიდაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით საოფისე აპარატურის შეკეთების მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია:

№	მომსახურების სახე	ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	**HP Laser Jet M2727nf** პრინტერის გაწმენდა-შეკეთება	40-00	40-00

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 40-00 (ორმოცი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში, უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება შემსყიდველისათვის.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები არიან ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, მთავარი ბუღალტერი და ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამართლებრივი აქტების მომზადების და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების სპეციალისტი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსრულებელს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6.4 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწიდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;
- მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვა.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- მოითხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.

8.3. თუ ხელშეკრულების დამრღვევი მხარე გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგაც არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო/ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

5.

8.4 ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5 ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

8.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 15 ივნისამდე.

10 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველის ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების

5.

გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახური“	შ.პ.ს. „ორიენტ ლოჯიკი“, 202052054
მის: ქ. თბილისი შარტავას ქ. №7	მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის №91ა
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“	ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"
ცენტრალური ფილიალი	ცენტრალური ფილიალი
კოდი: **LBRTGE 22**	ბანკის კოდი: 220101502
ა/ა **G95LB0125152101627000**	ა/ა 36029810200513170000
ს/კოდი: 205270053	
სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ უფროსი	**შ.პ.ს. „ორიენტ ლოჯიკი“-ს გენერალური დირექტორი**
არისი ბოჭოიძე	ვაჟა ნასყიდაშვილი

Orient Logic

Tel: 995 32 541818
Tel: 995 32 330616
Fax: 995 32 527170

Visit us at: www.orient-logic.com or www.orient-logic.ge; 8, Beliashvili str., Tbilisi, Georgia

business partner

To:	სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური"
Attn:	დავით სვანაძე
E-mail:	datosvanadze@gmail.com
Tel:	877 17 10 85
Fax:	
From:	**Orient Logic Ltd.**
Subject:	ინვოისი
Pages:	1
Date:	20/5/2011

Proforma Invoice N-200511/INV4

N	Model	Specification	Part number	Unit Price GEL VAT Incl	Q-ty	Price GEL
1	HP LaserJet M2727nf	პრინტერის გაწმენდა-ტესტირება		40.00	1	40.00

Total Summary (GEL) **40.00**

საბანკო რეკვიზიტები:

220101710 სს იბანკბანკი	№№ GE05IN0000036020100040
220101757 სს ბანკი რესპუბლიკა ცენტრალური ფილიალი	№№ 10111525510
220101956 სს ბაზისბანკი	№№ 5936872
220101480 სს ლიბერთი ბანკი ცენტრალური ფილიალი	№№ 36080197
220101830 სს თი-ბი-სი ბანკი	№№ GE54TB0600000010467147
220101502 სს საქართველოს ბანკი ცენტრალური ფილიალი	№№ 36029810200513170000
220101945 სს სტანდარტ ბანკი	№№ 485065
220101922 სს პროკრედიტ ბანკი ცენტრალური ფილიალი	№№ GE67PC0243600100009528
220101615სს ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია ცენტრალური ფილიალი	№№ 331553602

Signature

Stamp